



სსიპ „სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტო“

სატენდერო დოკუმენტაცია

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით

მსუბუქი ავტომობილების საბურავების შესყიდვა

CPV 34351100

ქ.თბილისი

2015 წელი

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

- დაფინანსების წყარო;
- პროტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი სატენდერო წინადადება;
- საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი;
- შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება;
- წინადადებით წარმოდგენილი ფასის კლების ბიჯის ოდენობა;
- სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა;
- ინფორმაცია ანგარიშსწორების შესახებ;
- დამატებითი ინფორმაცია.

2. ტექნიკური პირობები;

3. ავთენტიკის საილუსტრაციო ფორმა;

4.სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი;

5. ფასების ცხრილი.

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

• დაფინანსების წყარო

სსიპ „სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტოს“ დაფინანსების წყაროს წარმოადგენს საკუთარი შემოსავლები.

- პროტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის დოკუმენტებსა და ინფორმაციას:
 - ინფორმაცია პროტენდენტის რეკვიზიტების შესახებ (ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის დასახელება, იურიდიული მისამართი, პროტენდენტის ფაქტობრივი მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი, გვარი);
 - შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობები (დანართი N1);
 - ფასების ცხრილი (დანართი N2);
- საქონლის მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები – ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
 - საქონლის მიწოდებისა და თანმდევი მომსახურების გაწევის ადგილი უნდა იყოს მიმწოდებლის შესაბამისი პუნქტი,

რომელიც უნდა მდებარეობდეს ქ.თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში.

- მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საბურავის მიწოდების შემდგომ მისი დაყენება, ბალანსირება და თანმდევითი მომსახურება თითოეულ ავტომობილზე.
- საბურავები წარმოებული უნდა იყოს წამყვანი ავტომწარმოებლების მიერ მსუბუქი მანქანებისთვის და შესაბამისად, უნდა იყოს უმაღლესი ხარისხის.
- მომწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო და ახალი საქონელი.
- მიმწოდებელმა საქონლის მიწოდებისას უნდა წარმოადგინოს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.
- პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ფასების ცხრილი დანართი N2-ის მიხედვით.
- პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ფასების ცხრილში ერთეულის ფასი მოცემული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა (საბურავის მოხსნა-დაყენება, ბალანსირება) და გადასახადის გათვალისწინებით.

- **საგარანტიო ვადები**

- მიწოდებულ საქონელზე უნდა ვრცელდებოდეს საგარანტიო პირობები: გარბენი არანაკლებ 40 000 კმ.
- თუ მიწოდებული საქონლის საგარანტიო ვადის ამოწურვამდე აღმოჩნდება ან გამოვლინდება ნაკლი ან/და დეფექტი, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის შეტყობინებიდან გონივრულ ვადაში უზრუნველყოს ნაკლიანი საქონლის უნაკლოთი და ახლით შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება.

- შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება -- 3 272 ლარი (დღგ-ს ჩათვლით).

- წინადადებით წარმოდგენილი ფასის კლების ბიჯის ოდენობა – 0,4 %.

- სატენდერო წინადადება ძალაში უნდა იყოს – სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წინადადების მიღების დაწყების თარიღიდან „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“, „რ“ ან „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.

- ანგარიშსწორების პირობები – ანაზღაურება ეროვნულ ვალუტაში (ლარში), უნაღდო ანგარიშსწორების წესით. ანაზღაურება განხორციელდება საქონლის ფაქტიური მიწოდების, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და კანონით გათვალისწინებული საფინანსო დოკუმენტების წარდგენიდან 10 (ათ) საბანკო დღეში.

- დამატებითი ინფორმაცია
 - სატენდერო კომისია უფლებამოსილია ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენამდე, მოთხოვოს პრეტენდენტს შეთავაზებული საქონლის ნიმუშების წარდგენა:
 - იმ შემთხვევაში თუ შეთავაზებული საქონლის ნიმუშები იქნება უხარისხო და არ დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს, სატენდერო კომისია უფლებამოსილია მოახდინოს პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია სატენდერო პროცედურებიდან.

- დამატებითი ინფორმაცია – სატენდერო წინადადებასთან დაკავშირებული ინფორმაციის დაზუსტებისათვის პრეტენდენტს შეუძლია მიმართოს სააგენტოს შემდეგ თანამშრომლებს:
 მათე სამნიაშვილი – მობ.577 001144;
 დოდო ჯანელიძე – მობ.577 110016;
 ნანა ფეიქრიშვილი – მობ.591016555;

2. ტექნიკური პირობები

დანართი N1

N	საქონლის დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები	ზომის ერთეული	რაოდენობა
1	საბურავი	ზაფხულის სეზონის 195/65 R15	ცალი	8
2	საბურავი	ზაფხულის სეზონის 175/65 R14	ცალი	4
3	საბურავი	ზაფხულის სეზონი 265/65 R17	ცალი	4
4	საბურავი	ზაფხულის სეზონის 205/60 R15	ცალი	4

3. აფიდავიტი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

- ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

- უფლებამოსილი ვარპრეტენდენტის მიერ, ხელმოვაწერო ამაფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;
- ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;
- ჩემთვის ცნობილია, რომ ტერმინი “კონკურენტი” აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;
- მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:
 - ✓ სატენდერო წინადადების ფასი;
 - ✓ სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
 - ✓ სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
 - ✓ ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს;
 - ✓ შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;
- სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1951 მუხლის შესაბამისად.

4. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულება №--- სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

თბილისი

-- -----2015წ.

სსიპ “სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტო”, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი ----- სახით, და --- „-----“
-----“, შემდგომში წოდებული „მიმწოდებელად“, წარმოდგენილი მისი -----
----- სახით, მოქმედი საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, შემსყიდველის მიერ ჩატარებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (სატენდერო განცხადება №SPA-----) ვლებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
 2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
 3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება, ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.
 4. „მხარე“ ნიშნავს შემსყიდველს და მიმწოდებელს.
 5. „მხარეები“ ნიშნავს შემსყიდველს და მიმწოდებელს ერთად.
- ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად მხარეებმა გავაფორმეთ წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში „ხელშეკრულება“) – ნიშნავს შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტში მითითებულ თანხას, რომელიც შემსყიდველმა უნდა გადაიხადოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „შემსყიდველი“ ნიშნავს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სახსრებით შესყიდვის განმახორციელებელ პირს.

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

1.5 „ტექნიკური დოკუმენტაცია“ - გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ტექნიკური დავალება, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას დანართი 1-ის სახით, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში (CPV 34351100) მსუბუქი ავტომობილების საბურავების შესყიდვა დანართი №1-ის შესაბამისად.

2.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

მუხლი 3. საქონლის მიწოდების ვადები და პირობები

3.1 მიწოდება უნდა მოხდეს ეტაპობრივად, შემსყიდვედლის მოთხოვნიდან–7 (შვიდი) სამუშაო დღეში;

3.2 საქონლის მიწოდების წინ მხარეები მიწოდების აუცილებლობას ადასტურებენ დეფექტური აქტის საფუძველზე.

მუხლი 4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ---- (-----) ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის და მოსაკრებლის ჩათვლით. საქონლის ერთეულის ღირებულებები განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №2-ის შესაბამისად.

4.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც შესყიდვის ობიექტის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

მუხლი 5. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი და ვადები

5.1 ანგარიშსწორება მოხდება წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

5.2 ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღლო.

5.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად ფაქტიურად მიწოდებულ შესყიდვის ობიექტზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ინვოისის (არსებობის) შემთხვევაში, შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოდგენის შემდეგ 10(ათი) საბანკო დღეში. (ყველა დოკუმენტი ხელმოწერილი უნდა იყოს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ) ან წინასწარი გადახდით საბანკო გარანტიის წარდგენის საფუძველზე ან ურთიერთშეთანხმებით.

5.4 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების შეწყვეტა

6.1 ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, ბრალეული მხარე დაზარალებულ მხარეს აუნაზღაურებს დოკუმენტალურად დადასტურებულ მიყენებულ ზიანს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.2 მიმწოდებელი პასუხს აგებს მისთვის დაკისრებული ვალდებულებების სათანადო შესრულებისათვის და ვალდებულია აანაზღაუროს მისი ქმედებით დამდგარი ყველა სახის ზიანი.

6.3 მიმწოდებლის მიერ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მას ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,2% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

6.6 თუ შემსყიდველი მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მიმწოდებელს მიღებული გადაწყვეტილება, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.7 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 7. ხარისხი და გარანტია

7.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს მიწოდებული საქონლის ხარისხზე და იძლევა გარანტიას რომ მიწოდებული საქონელი იქნება მაღალი ხარისხის და შესაბამისობაში იქნება მოქმედ სტანდარტებთან.

მუხლი 8. საქონლის ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის და მიღება-ჩაბარების წესი

8.1 „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას , რომ გაწეული მომსახურება შეესაბამება „შემსყიდველის“ მოთხოვნებს;

8.2. „მიმწოდებელი“ ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული მომსახურების გამოსწორება „შემსყიდველის“ მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

მუხლი 9. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

9.1 მომსახურების მიღება დასტურდება შემსყიდველს და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერენ მხარეთა უფლებამოსილი პირები.

9.2 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი დაგვიანებით ან უხარისხო საქონელზე და მომსახურებაზე. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი თავისუფლდება ხელშეკრულების ღირებულების გადახდის ვალდებულებისაგან.

9.3 მომსახურების ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენას და მიღება-ჩაბარებას უზრუნველყოფს სსიპ “სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტოს” თანამშრომელი --
-----.

მუხლი 10. ფორს-მაჟორი

10.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ნებისმიერ სადაო საკითხებზე.

10.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- ა) დროულად აცნობოს მიმწოდებელს მიწოდებულ საქონელთან და მომსახურეობასთან დაკავშირებული ხარვეზების შესახებ;
- ბ) გადაიხადოს ხელშეკრულების ღირებულება.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მიმწოდებელისა და/ან შემსყიდველის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.2 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.3 ფორს-მაჟორული სიტუაციის 10 დღეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მეორე მხარეს.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, მაგრამ არაუმეტეს 2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 13. სხვა პირობები

13.1 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საქართველოს სასამართლოს.

13.2 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერით.

13.3 მხარეები უფლებამოსილნი არიან მოშალონ წინამდებარე ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად და თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

სსიპ „სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტო“

საიდენტიფიკაციო კოდი 204429494

მისამართი: 380038, საქართველო, ქ.თბილისი, 9 აპრილის ქ.2

სახელმწიფო ხაზინა
სსიპ „სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტოსთვის“-4003
ხაზინის ერთიანი ანგარიში
GE24NB0330100200165022
ბანკის კოდი –TRESGE22
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი – 7 07717121
სააგენტოს უფროსი
ესტატე ბარაბამე _____

მიმწოდებელი:

ს/კ -----
სს „----- ბანკი“
ბანკის კოდი:
ა/ა -----
დირექტორი

5. ფასების ცხრილი

დანართი N2

N	დასახელება	მოდელი	საქონლის ძირითადი მახასიათებლები	მწარმოებელი ქვეყანა/კომპანია	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი, ლარი	საერთო ღირებულება, ლარი	ანაზღაურების წესი	მიწოდების ვადები
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11